პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 15 იანვარი, 1943 წ. № 12 (6637). ფასი 20 კაპ.

მეჯი და მეჯი დახმარება ფრონტს, ამხანაგო რკინიგზელებო!

ჩვენი ხალხის დიდმა სამამულო ომმა პირსისხლიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ახალი საბრძოლო ამოცანები დააკისრა რკინიგზის ტრანსპორტს.

პარტია და მთავრობა ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდნენ რკინიგზის ტრანსპორტს, მოუწოდებდნენ რთულ საერკინიგზო კონვეიერს ემუშავნა ზუსტად მოქმედი, კარგი საათის მექანიზმივით.

ჯერ კიდევ 1935 წლის ივლისში რკინიგზელთა მიღებაზე კრემლში ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რკინიგზის თითოეული მუშაკის, საერკინიგზო კონვეიერის თითოეული ხრახნის შეწყობილ მუშაობას.

თუ ოდესმე საჭირო იყო რკინიგზის ტრანსპორტისათვის ზუსტი, შეთანხმებული მუშაობა, მით უმეტეს იგი საჭიროა დღეს, სამამულო ომის რთულ ვითარებაში, როდესაც ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ინტერესები დაქვემდებარებულია ფრონტისადმი, ვერაგ მტერზე გამარჯვების მიღწევისადმი.

და თუ დღეს ბარენცის ზღვიდან შავი ზღვის ნაპირებამდე გაჭიმული ვეებერთელა ფრონტი არ განიცდის შეფერხებას ჯარების გადაყვანის, საჭურვლის, საომარი მასალისა და სურსათ-სანოვაგის მიწოდების მხრივ, თუ ჩვენი, სამხედრო რელსებზე გადაყვანილი მრეწველობა დროულად იღებს მისთვის საჭირო ყოველგვარ ნედლეულს და სათბობ მასალას, ამაში უდიდესი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვის რკინიგზელთა სტალინურ არმიას, რომელიც მეომრის თავდადებით იბრძვის და სუსხიან ზამთარში თუ ზაფხულის პაპანაქებაში დღისით და ღამით შეუსვენებლად, უწყვეტ ნაკადად ეზიდება სამხედრო ეშელონებს ფრონტზე და ზურგში.

სოციალისტურმა ტრანსპორტმა სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჭეშმარიტად ჩაბარა საბრძოლო გამოცდა და ნათლად დაამტკიცა, რომ იგი თავისი დიდი, სახელოვანი სახელმწიფოს ღირსეული შვილია.

საბჭოთა რკინიგზელებმა სამამულო ომის ვითარებაში სანიშნო, თავდადებული მუშაობის მრავალი ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენეს, რისთვისაც ბევრი მათგანის ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს წინაშე ღირსეულად აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

სოციალისტური ტრანსპორტი, საომარ ყაიდაზე გარდაქმნილი, სასწაულებს გვიჩვენებს. მოძრაობის გრაფიკი—ეს თითოეული რკინიგზელისათვის რკინის კანონი—დღეს განსაკუთრებული სიზუსტით სრულდება. უკეთესია ვაგონების მიმოქცევა, უფრო უკეთესად ეწევიან ლოკომოტივები შემადგენლობებს, გაიზარდა მათი ტექნიკური და კომერციული სისწრაფე, ამაღლდა რემონტის ხარისხი და ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ თვით რკინიგზელებში ამაღლდა შეგნება და პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი, მინდობილი სამუშაო უბნისადმი.

მაგრამ ამავე დროს სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ტრანსპორტზე ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს, რომ იქ ყველა რგოლი უნაკლოდ მუშაობს, რომ დეფექტები სავსებით აღმოფხვრილი იყოს.

ფაქტები მოწმობენ, რომ რკინიგზის ზოგიერთი სამეურნეო რგოლები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ართმევენ თავს მინდობილ საქმეს, ვერ ასრულებენ მნიშვნელოვანი ტვირთების დატვირთვის გეგმებს. დეკემბერში, მაგალითად, ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე 675 ვაგონი ქვანახშირი დარჩა დაუტვირთავი, იანვრის პირველ დეკადაში კი—258 ვაგონი. ამაში ბრალი მიუძღვით როგორც რკინიგზას, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო ქვანახშირის ტრესტები საჭირო რაოდენობის ვაგონებით, ისე თვით ტრესტებს, რომელთაც მთლიანად ვერ აითვისეს მიწოდებული ვაგონები. მაგალითად, ტყიბულქვანახშირის ტრესტმა დეკემბერში ვერ დატვირთა 720 ვაგონი, ხოლო იანვრის პირველ დეკადაში—308, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. ვაგონების მოცდენა დანაშაულია, რისთვისაც დამნაშავეს პასუხს სთხოვენ. ტრესტის ხელმძღვანელობა ამ გარემოებას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს.

ასევე დაემართა „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას, რომელმაც იანვრის პირველ დეკადაში ვერ დატვირთა 123 ვაგონი. სამეურნეო ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებებისადმი უზრუნველი „დამოკიდებულების მსგავსი სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა (თბილისის ხორცკომბინატმა მოაცდინა 15 ვაგონი, საქხლბოსტანტრესტმა—5 და სხვ.), მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

ეს გარემოება ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს სასტიკი პასუხი მოსთხოვონ სამეურნეო ორგანიზაციებს და აიძულონ ისინი, რათა მათთვის მიწოდებულ ვაგონებს არ აცდენდნენ.

ამასთან, ზოგჯერ ადგილი აქვს ვაგონების მიმოქცევის გრაფიკის შეუსრულებლობას, რაც ჩრდილს ჰფენს იმ საერთო წარმატებებს, რომლებიც ჩვენ რკინიგზას მოეპოვება.

რას ნიშნავს დღევანდელ პირობებში ასეულობით ვაგონი ქვანახშირის თუ პურის გადაუზიდველობა?

ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი დაუდევარი ხელმძღვანელის თუ უზრუნველი რიგითი მუშაკის მეოხებით მრეწველობას, რომელიც საჭურველსა და საომარ მასალას უმზადებს ფრონტს, დავაკელით ესოდენ ძვირფასი და მისთვის საჭირო სათბობი, ხოლო ფრონტსა და სამრეწველო ცენტრებს დროზე არ მივაწოდეთ პური, ხორცი, კვების სხვა პროდუქტები.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ გზის პოლიტგანყოფილებათა ორგანოებმა. ყველა რკინიგზელის ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას სადღეისო სერიოზულ ამოცანებზე, რათა მთელი მათი ენერგია მიიმართოს ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულებისაკენ. ზამთრის ძნელმა პირობებმა ოდნავაც ვერ უნდა შეაფერხონ რკინიგზის ტრანსპორტის ზუსტი და მოქნილი მუშაობა.

რკინიგზელებს კიდევ უფრო უკეთესად მუშაობა შეუძლიათ. ჯერ კიდევ მრავალი გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი მოგვეპოვება ამ დარგში. მათი მაქსიმალური მობილიზაციით და სწორი გამოყენებით შესაძლებელია მეტი ეფექტის მიღება ტვირთზიდვაში.

ფრონტი და ზურგი რკინიგზელებისაგან მოითხოვენ სახელმწიფო მნიშვნელობის ტვირთების დატვირთვის გადიდებას და მათი გადაზიდვის დაჩქარებას. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება ხელს შეუწყობს გმირ წითელ არმიას დაჩქარებით გაანადგუროს ჰიტლერელი ავაზაკები.

სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებათა მინიჭება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეებისათვის

მოსკოვი, 9 იანვარი (საკდესი). უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ სამეცნიერო ხარისხები და წოდებანი მიანიჭა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მთელ რიგ მოღვაწეებს, რომლებმაც თავიანთი დისერტაციები დაიცვეს ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საბჭოსთან.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება მიენიჭა მეხილეობის დარგის დიდ სპეციალისტ პ. პ. დოროფეევს. როგორც პროფესორი ხომიზურაშვილი აღნიშნავს, ამხ. დოროფეევის დისერტაციის, რომელიც მიძღვნილია მეგბალეობის საკითხებისადმი, დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ავტორმა მნიშვნელოვანწილად გადასჭრა ჩრდილოეთისაკენ კაკლის კულტურის გავრცელების პრობლემა. ამხ. დოროფეევის ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი კვარაცხელია, რომელსაც დისერტაცია საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ძვირფას განძად მიაჩნია. პროფესორ მელნიკის აზრით, ავტორმა მეცნიერება გაამდიდრა სრულიად ახალი ცნობებით კაკლის ბიოლოგიურ თავისებურებათა, ფორმისა და კულტურის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა ხეხილის მსხმოიარობის რეგულირების დაჩქარების ახალ მეთოდთა ავტორს ნ. გ. ეფუჩკოვს. საქართველოს უალრესად გამოჩენილი მეცნიერები (აკადემიკოსები კვარაცხელია და კეკენაძე, პროფესორი ხომიზურაშვილი და სხვ.) აღნიშნავენ, რომ ეფუჩკოვის დისერტაცია დიდ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს. მისი მეთოდები საკვლევი გაამართლა მრავალრიცხოვანმა ცდებმა და ეს მეთოდები მნიშვნელოვნად აჩქარებენ მსხმოიარობას. მსხმოიარობის დაჩქარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად, სამამულო ომის დღეებში, როცა სასურსათო რესურსების გაფართოების საკითხები სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ყურადღების ცენტრშია.

ავაგოთ საგანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე“

მგს-ის მუშაკები ეხმარებიან ფრონტს

თბილისის მტს-ის კოლექტივმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ მშენებლობისათვის შეაგროვა და სახელმწიფო ბანკის რიგანკოფილებაში შეიტანა 53.950 მანეთი.

სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში დანაზოგი თანხების შეტანით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სატრაქტორო ბრიგადის, ბრიგადირმა დ. ტაბუცაძემ, დ. სალთხუციშვილმა, ა. ნიკოლეიშვილმა და მ. ფარსანიშვილმა, რომელთაც შეიტანეს 5.200 მანეთი თითოეულმა.

ტრაქტორისტებმა ს. ოსიაშვილმა, გ. მამუკაშვილმა, ი. სამკუაშვილმა, დ. ფრეწუაშვილმა, დ. ჯერანაშვილმა და ი. კახაბრიშვილმა შეიტანეს 3.500 მანეთი თითოეულმა.

№ 4 სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველმა კომკავშირელმა გურგენ ჩუბინიძემ შეიტანა 5.000 მანეთი.

თბილისის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი ა. ჩარკვიანი

ხობელმა კომკავშირელებმა 55.000 მანეთი შეაგროვეს

ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული კომკავშირული ორგანიზაციის (მდივანი ამხ. შუმანია) წევრებმა სატანკო კოლონისათვის შეაგროვეს 5.000 მანეთი. მათ მიჰბაძეს ხეთის, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის (მდივანი ბუკია) წევრებმა, ხობის საშუალო სკოლის პიონერებმა და მოსწავლეებმა, აგრეთვე რაიონის სხვა სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების წევრებმა. რაიონში კომკავშირელების მიერ უკვე შეგროვებულია 55.000 მანეთამდე.

ა. ქორთუა

აგროვებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს

მაიაკოვსკი (ტელეგრაფით). მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეები წარმატებით აგროვებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს წითელი არმიისა და ქალაქის მშრომელებისათვის. დანიშნულებისამებრ უკვე ჩაბარებულია 360 ფუთი ხორცი, 20 ფუთი ლობიო, 2,5 ფუთი თამბაქო, 2 ფუთი ყველი, 1 ფუთი ნაფლი, 20 ფუთი ხილი.

პროდუქტების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიონის მდივანი ქაფანაძე

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებელთა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლათა მოსწავლენი და სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის მუშაკები, აღფრთოვანებულნი გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ჩვენი წითელი არმიის გმირული ბრძოლით, თავდაცვითი საწარმოების კადრის მუშებთან ერთად სჭედენ მრისხანე იარაღს ფაშისტი მხეცების მოსასპობად.

სასწავლებლებსა და სკოლებში მომზადებული ახალგაზრდა პატრიოტები დაუღალავად მუშაობენ მრეწველობის საწარმოებში, უმნიშვნელოვანეს თავდაცვითს მშენებლობებზე და გმირული შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ.

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად, გორკის № 1 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა და მუშაკთა კოლექტივის ინიციატივით, ჩვენი ქვეყნის ყველა სკოლამ და სასწავლებელმა იკისრა ვალდებულება ვადამდე შეასრულონ მათთვის მთავრობის მიერ დაწესებული დავალებანი იანვარსა და თებერვალში, და 4 კვირაობა მოაწყონ იანვრისა და თებერვლის განმავლობაში. ამ კვირაობებზე გამომუშავებული სახსრები გადაეცეს სახელმწიფო ბანკს სატანკო კოლონის, ავიაესკადრილიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ხომალდების—„შრომითი რეზერვების“ მშენებლობისათვის.

სასწავლებლებმა და სკოლებმა ვალდებულება იკისრეს დახმარება გაუწიონ მომავალი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების საშუალო და კაპიტალური რემონტის საქმეში, რათა უზრუნველყოფილ იქნას გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ ჩატარება.

სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეებმა და მუშაკებმა თავიანთი პირადი სახსრებიდან უკვე გადარიცხეს 6 მილიონი მანეთი საბრძოლო მანქანებისა და ხომალდების მშენებლობისათვის. სახსრების შეგროვება გრძელდება.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის მოსწავლენი და მუშაკნი მთელ ძალღონეს იხმარენ, რათა კიდევ უკეთესად აღმოიჩინონ დახმარება თავდაცვითს მრეწველობასა და ფრონტს ყველა სახის საჭურველისა და საომარი მასალების დამზადებაში, რაც განკუთვნილია ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე შემომძვრალი ფაშისტური სიბილწის მოსასპობად.

შრომითი რეზერვების სისტემის მოსწავლეთა და მუშაკთა დავალებით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსი პ. მოსკატოვი

მოსკოვი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ი. ბ. სტალინს

თქვენი ისტორიული მოხსენებით, სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით აღფრთოვანებულმა მზიური თურქმენეთის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, ტამბოველ კოლმეურნეთა კეთილშობილური პატრიოტული თაოსნობის მიხედვით, თავიანთი პირადი დანაზოგიდან საბრძოლო ესკადრილიების „თურქმენეთის კოლმეურნის“ ასაგებად შეიტანეს 72 მილიონი მანეთი. სახსრების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

თურქმენეთის კოლმეურნეები, რომლებმაც 1942 წელს მთლიანად შეასრულეს თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის პურის, ხორცის, რძის, კვერცხის, ბრინჯის, მატყლის ჩაბარების დარგში, პირობას გაძლევენ თქვენ, ამხანაგო სტალინ, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ იმას, რომ დაეხმარონ ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოოდ გადაგურებაში.

თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფოკინი.

ქ. აშხაბადი. თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ფ ო კ ი ნ ს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც 72 მილიონი მანეთი შეაგროვეს საბრძოლო ესკადრილიების „თურქმენეთის კოლმეურნის“ ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ჩელიაბინსკის ოლქის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, ტამბოველ კოლმეურნეთა მაგალითისამებრ, გააჩაღეს სახსრების შეგროვება ჩვენი მამაცი წითელი არმიისათვის ტანკების ასაგებად და გადასწყვიტეს ააგონ თავიანთი სახსრებით მძლავრი სატანკო კოლონა „ჩელიაბინსკელი კოლმეურნეები“. 1943 წლის 1 იანვრისათვის მიმდინარე ანგარიშზე სახბანკში უკვე შეტანილია 90 მილიონი მანეთი. კიროვის ქარხანამ კოლმეურნეთა თხოვნით მიიღო შეკვეთა სატანკო კოლონის ასაგებად. დღეს, ახალი წლის წინადღეს, ოლქის კოლმეურნეთა რწმუნებულებმა ქარხნისაგან მიიღეს და წითელი არმიის ჯავშანსატანკო ნაწილებს გადასცეს პირველი 150 მძიმე ტანკი. სახსრების შეგროვება სატანკო კოლონა „ჩელიაბინსკელი კოლმეურნეების“ ასაგებად გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მდივანი პატოლიჩევი

ჩელიაბინსკი. საქ. კ. პ. (ბ) ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხანაგ პ ა ტ ო ლ ი ჩ ე ვ ს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ჩელიაბინსკის ოლქის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც 90 მილიონი მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „ჩელიაბინსკელი კოლმეურნეების“ ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

შეიარაღების სახალხო კომისარიატის აპარატის თანამშრომლებმა, რომელნიც აღფრთოვანებულნი არიან მამაცი წითელი არმიის წარმატებითი შეტევით სამამულო ომის ფრონტებზე და რომელნიც ისწრაფვიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაშისტი ოკუპანტების მალე განადგურებას, თავიანთი პირადი დანაზოგიდან, აგრეთვე ნაწილობრივ სესხთა ობლიგაციებით, სულ 635.060 მანეთი შეიტანეს ერთი მძიმე საჰაუბიცო პოლკის მთელი ავტომეიარაღების შესაძენად. სახსრების შეგროვება გრძელდება.

გთხოვთ ნება დაგვრთოთ, რომ შეძენილი მრისხანე იარაღი—ზარბაზნები წითელი არმიის XXV წლისთავზე გადავცეთ გვარდიის საუკეთესო საარტილერიო პოლკს.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, რომ ჩვენს ძალ-ღონესა და დროს არ დავიშურებთ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი სახალხო კომისარიატის ქარხნების შეუფერხებელი მუშაობა და მათ მიერ ყველა სახელმწიფო დავალების ვადამდე შესრულება.

ჩვენის მხრივ მოვუწოდებთ ყველა დანარჩენ სახალხო კომისარიატებს—მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს.

სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარი უსტინოვი.
სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატის პარტკომის მდივანი მამიკონიანი.

მოსკოვი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

დედა-სამშობლოსადმი და თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, სიყვარულით აღფრთოვანებულებმა, მზადმყოფებმა შეეასრულოთ დიდი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი — გავანადგუროთ საძულველი მტერი, № 1962 ნაწილის მებრძოლებმა და მეთაურებმა სატანკო კოლონა „გვარდიელის“ ასაგებად შეიტანეს 4.552.342 მანეთი. სახსრების შემოსვლა გრძელდება. ჩვენ ყველანი ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი წინამძღოლობით გავანადგურებთ მტერს, საბჭოთა ხალხების წმიდა მიწა-წყალი გაწმენდილ იქნება ფაშისტური სიბილწისაგან.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ხალიუზინი, ისტომინი.

უდმურგეთის რესპუბლიკის იარის რაიონის კოლმეურნეობა „ვილგურგი“ კოლმეურნე ივანე იოსების-ძე ლ ა ნ ი ლ ო ვ ს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ივანე იოსების-ძევ, წითელ არმიაზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

კუიბიშევის ოლქი. ბოგდაშკინოს რაიონი. სოფელი ბოგდაშკინო ნინო მიხეილის-ასულ ლ ა პ ვ ე ვ ს

გმადლობთ, ნინო მიხეილის-ასულო, წითელ არმიაზე თქვენი ზრუნვისათვის.

მიიღეთ ჩემი სალამი.

ი. სტალინი

იაროსლავლის რკინიგზის სადგური იაშა. მოსკოვ-ვოლგის არხი ამხანაგებს გიორგი ვასილის-ძე და მარიამ ანდრიას-ასულ ა ნ დ რ ე ე ვ ებ ს

გმადლობთ, გიორგი ვასილის-ძევ და მარიამ ანდრიას-ასულო, წითელ არმიაზე თქვენი ზრუნვისათვის.

მიიღეთ ჩემი სალამი.

ი. სტალინი

მოქმედი არმია. სურათზე: ავიამძიმაბომბავლების შემზადება საბრძოლო ოპერაციისათვის.
ფოტო ე. კოპიტასი (საკდესი, ფოტოქრონიკა).

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ თქვენ, რომ მშენებლობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილის და ჩუსოვოის მეტალურგიული ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა თავისი თავდადებული მუშაობით შეასრულა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალება.

ჩუსოვოის მეტალურგიულ ქარხანაში დაამზადა ახალი ბრძმედის მშენებლობა, რომელიც 1943 წლის 13 იანვარს გაშალებულ იქნა და ამუშავდა. ყველა აგრეგატი და მექანიზმი კარგად მუშაობს. ბრძმედის ამუშავებით ქარხნის სიმძლავრე თუჯის გამოდნობაში ერთისამად გადიდდა.

მშენებლობის ჩქარი მეთოდების ფართოდ გამოყენებით ბრძმედი აშენდა უმაგალითო მოკლე ვადაში—7 თვეში.

მშენებლობისა და ქარხნის მუშათა კოლექტივმა მხურვალე პატრიოტიზმისა და თავისი სამშობლოსადმი სიყვარულის, საზიზღარ გერმანელ დამპყრობლებისადმი უსაზღვრო სიძულვილის გრძნობით ერთხელ კიდევ ცხადჰყო მთელი მსოფლიოს წინაშე საბჭოთა ქვეყნის ძალა და სიმძლავრე და ფრონტისა და ზურგის ურღვევი ერთიანობა.

გმირი წითელი არმიის მიერ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ფაშისტთა ურდოებისათვის თქვენი ხელმძღვანელობით მიყენებული გამანადგურებელი დარტყმები აღგვაფრთოვანებენ ჩვენ ახალ-ახალი შრომითი გმირობის ჩასადენად ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის, მოსისხლე მტრის აღრე და მალე განადგურებისათვის.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ კოლექტივი მზად არის შეასრულოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყოველი დავალება.

მშენებლობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილის უფროსი ტ ი შ ჩ ე ნ კ ო

ჩუსოვოის ქარხნის დირექტორი კ რ ო ტ ო ვ ი

მშენებლობის სახალხო კომისარიატის „გლავჩერმეტსტროის“ მთავარი ინჟინერი ლ უ კ ა შ ა კ ი ნ ი

მშენებლობის მთავარი ინჟინერი ფ ო მ ი ნ ც ე ვ ი

საკ. კ. პ. (ბ) ჩუსოვოის საქალაქო კომიტეტის მდივანი ჩ ე რ ნ ი შ ო ვ ი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი მშენებლობაზე ტ ო ლ კ ა ჩ ე ვ ი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ქარხანაში კ ო ლ დ ო ვ ი

მებრძმედე გ რ ი გ ო რ ი ე ვ ი

მშენებელი ინჟინრები: მ ა მ ო ნ ტ ო ვ ი, ზ ო ლ ო ტ უ ხ ი ნ ი, კ ო მ ა რ ი, უ მ ა ნ ს კ ი

მშენებელი ოსტატები: კ უ რ ო ჩ კ ი ნ ი, ბ უ ბ ი რ ი

სტახანოველი მშენებლები: ლ ა დ ი კ ი, ბ რ ი ზ ი ნ ი.

საქართველოს სსრ. წალკის რაიონი. მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ბ უ რ ბ ე ნ ე ო ბ ა ვ ი ს ა ნ ს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო ოგანიან, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ლენინგრადის ფრონტი. მეორე რანგის სამხედრო ექიმს ამხ. გ ა ბ რ ი ე ლ ბ ი ო რ გ ი ს-ძ ე ჩ ე ჩ ე ლ ა შ ვ ი ლ ს

გმადლობთ, გაბრიელ გიორგის-ძევ, წითელი არმიის საჰაერო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

მიიღეთ ჩემი სალამი.

ი. სტალინი

საქართველოს სსრ. თიანეთის რაიონი. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ი ლ ი ა დ ა ვ ი თ ი ს-ძ ე ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ს

გმადლობთ, ილია დავითის-ძევ, თქვენ და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე ზრუნვისათვის.

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

49-ე არმია. ამხანაგებს ზ ა ხ ა რ კ ი ნ ს. ს ი ჩ ო ვ ს

გადაეცით ჩემი ბაბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა 49-ე არმიის ნაწილების მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 5 მილიონი მანეთი შეაგროვეს სსრ კავშირის თავდაცვის ფონდში.

ი. სტალინი

კოზელსკი. ამხ. ბ ო კ ო ვ ა კ ო ვ ს ა ს

გმადლობთ, ამხანაგო ტოკმაკოვა, წითელ არმიაზე თქვენი ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი.

ი. სტალინი

სარატოვის ოლქის მარქსის რაიონის კოლმეურნეობა „ქრასნაია ნაუკა“ საბრაქმორო ბრიგადის ბრიგადირ თეოდორე ზ ა ქ ა რ ი ა ს-ძ ე ბ უ ნ ი ნ ს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, თეოდორე ზაქარიას-ძევ, წითელი არმიის საჰაერო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ქუიბიშევის ოლქის ასტრადამოვკის რაიონის კოლმეურნეობა „პობედა“ კოლმეურნეებს ამხ. თეოდორე და ევდოკია ბ ა რ დ უ კ ო ვ ებ ს

მიიღეთ, ამხანაგო ბარდუკოვებო, ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ორიოლის ოლქის კრასნოეს რაიონის სუხოდოლსკის სოფლის საბჭოს ოლოგოვის სახელობის კოლმეურნეობა კოლმეურნე მარიამ ივანეს-ასულ კ უ ზ ნ ი ჩ ე ნ კ ო ს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, მარიამ ივანეს-ასულო, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ბაჯიკეთის სსრ კოქტაშის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობა კოლმეურნეობის თავმჯდომარე რუსკამ მ ა მ ა დ ა მ ი ნ ო ვ ს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ამხანაგო მამადამინოვ, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

ყაზახეთის სსრ ალმა-ათის რაიონის კოლმეურნეობა „ლუჩ ვოსტოკა“ მეფრინველეობის ფერმის გამგე ანა ვასილის-ასულ მ ა ზ ე ე ვ ა ს

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა, ანა ვასილის-ასულო, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

უკანასკნელი ცნობები

ამერიკული გაზეთი გერმანელთა ცრუ პროპაგანდის შესახებ

ნიუ-იორკი, 14 იანვარი (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნმა“ გამოაქვეყნა სტატია საბჭოთა ჯარების შეტევის დაწყების შემდეგ ჰიტლერული პროპაგანდის ახალი სამარცხვინო ჩაშლის შესახებ.

„მას შემდეგ, რაც რუსებმა თავიანთი კონტრშეტევა დაიწყეს,—სწერს გაზეთი, — ჰიტლერული შინა პროპაგანდა და საზღვარგარეთისათვის გათვალისწინებული პროპაგანდა დაბნეულობის გამო წარამარა იცვლიდა პოზიციას. ჯერ იგი უგულებელჰყოფდა რუსების განცხადებებს, შემდეგ ცდილობდა სასაცილოდ აეგდო იგი, ბოლოს უარყოფასაც შეეცადა. შუა დეკემბრიდან გერმანელთა პროპაგანდამ, რომელიც უომედოდ ჩაეფლო ფანტასტიკურ წინააღმდეგობებში, სცადა სხვა ტაქტიკას დასდგომოდა—არაფერი ეთქვა საბჭოთა კავშირთან ომის შესახებ“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის უმაღლესი სარდლობა გებელსის ხრიკებს ჰბაძავს.

„როგორც სჩანს,—სწერს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“,—გერმანიის უმაღლეს სარდლობას მხოლოდ მაშინ შეუძლია გამოაქვეყნოს ცნობა საომარი მოქმედების შესახებ, როდესაც მდგომარეობა მისთვის ხელსაყრელია. შარშან მან კიდევ გაბედა ეღიარებინა ზოგიერთი ქალაქის დაკავება წითელი არმიის მიერ. ამ ზამთარს იგი არაფერს არ აღიარებს. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გერმანიის სარდლობამ ამას წინათ პროპაგანდისტ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 იანვრის ღილის ცნობა

13 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები **დონის** ქვემოწელის რაიონში, **ცენტრალურ** ფრონტზე და **ჩრდილოეთ კავკასიაში** წინააღმდეგ. ბრძოლებს წინანდელი მიმართულებით.

* * *

სტალინგრადის საქარხნო დაბაში ჩვენმა ოლიერიშე რაზმებმა 27 ძელმიწური საცეცლე წერტილიდან და ბლინდაჟიდან განდევნეს მოწინააღმდეგე. გერმანელებმა რამდენიმე ონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ უკუქცეულ ქნენ.

სტალინგრადის რაიონში საბჭოთა მფრინავები თავს დაესხნენ გერმანელთა ეშელონებს, ოსკეს 5 თვითმფრინავი და ააფეთქეს 2 საწყობი საომარ მასალიანად. გარდა ამისა, საერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელ- ია 7 თვითმფრინავი.

* * *

დონის ქვემოწელის რაიონში ჩვენი ჯარები ტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას ცლევდნენ და შეტევას განაგრძობდნენ. 6 ნაწილმა გაანადგურა გერმანელთა ქვეითი ჯარის ერთი ბატალიონი, რომელიც გაძლიერებული იყო ტანკებით. გაელეტილია 400-მდე ჰიტლერელი, მოსპობილია 6 ტანკი და 7 ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა სწრაფი დარტყმით გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, ჯანვითარეს შეტევა და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჰიტლერელები დიდად დაზარალდნენ. წამოღებულია დაჯილ და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით. ველიკიე ლუკის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში მოგერიებულია მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიში. მტერმა ბრძოლის ველზე 200-ზე მეტი მოკლული და 8 დამწვარი ტანკი დატოვა. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერიამ გაჩაფანტა და ნაწილობრივ მოსპო გერმანელთა თავმოყრილი ქვეითი ჯარი და დაანარცა მოწინააღმდეგის ათობით ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები წარმატებით განაგრძობდნენ შეტევას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. 6 ნაწილმ, ტანკისტებმა გააფთრებულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ნაწილი გაანადგურეს და ხელთ იგდეს დავლა: 19 ქვემეხი, 53 ავტომანქანა, 3 ტრაქტორი, საბრავო ნაწილებისა და საომარი მასალის საწყობები. ფაშისტთა ტყვეობისაგან განთავისუფლებულია საბჭოთა მოქალაქეებისა და ოფლეს წითელარმიელთა დიდი ჯგუფი, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავდათ. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერიამ დაანიავა და დასწვა მოწინააღმდეგის 6 ტანკი და გაჩაფანტა მრავლად თავმოყრილი ავტომანქანები და ქვეითი ჯარი.

* * *

ბარანოვიჩის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 5 სამხედრო ეშელონი. მარტის შუიდან დაბ-

14 იანვრის საღამოს ცნობა

14 იანვარს ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, **ჩრდილოეთ კავკასიაში** დიაკავეს რაიონული ცენტრი **სუვოროვსკაია**, დიდი დასახლებული პუნქტები — **გრაჟდანსკი 1-ლი, ნოვო-ხუნეენსკაია, სოტნიკოვსკოე** და **რკინიგზის** სადგური **სუვოროვსკაია.**

დონის ქვემოწელის რაიონში და **ცენტრალურ** ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

13 იანვრის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში მოსპობილია მოწინააღმდეგის **26** სატრანსპორტო თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენმა მოიერიშე რაზმებმა დაიკავეს მტრის ძლიერ გამაგრებული წინააღმდეგობის კვანძი. დანგრეული და აღებულია 32 ძელმიწური და ბლინდაჟი. მოსპობილია 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 7 ქვემეხი, 24 ტყვიამფრქვევი **და სხვა** დავლა.

* * *

დონის ქვემოწელის **რაიონში ჩვენი ჯ**არები შეტევის განაგრძობდნენ. ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს და ექვსი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დამწვარი და დამტვრეულია მოწინააღმდეგის 22 ტანკი და 2 ჯავშნიანი მანქანა. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ დაჯგუფებას, რომელმაც წინაღლით დიდი ზარალი ნახა, კონტრიერიშები არ შეუწყვეტია. ჩვენი ქვეითი ჯარი, არტილერისტები და ტანკისტები გერმანელთა კონტრიერიშებს იგერიებენ და ტექნიკასა და ცოცხალ ძალას ანადგურებენ. მარტო ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში დამწვარია გერმანელთა 9 ტანკი.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე, ველიკიე ლუკის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგ. ჩვენმა ნაწილებმა ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიშები მოიგერიეს და მოწინააღმდეგის 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. წამოღებულია 3 ქვემეხი, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, შაშხანები და სხვადასხვა სამხედრო ქონება. ტყვედ წამოყვანილია 50 კაცი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ნაწილები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, წარმატებით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 ნაწილმა გერმანელთა კონტრიერიშები მოიგერია და რკინიგზის სადგურში შეიჭრა. ხანმოკლე გაფთრებული ბრძოლის შემდეგ საბჭოთა მეომრებმა გასწმინდეს სადგური ჰიტლერელებისაგან. მოწინააღმდეგემ 400 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით. წამოღებულია დაფა და წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტები მოწინააღმდეგის საბრძოლო მწყობრებში გაიჭრნენ და გერმანელთა ქვეითი ბატალიონი გაანადგურეს.

* * *

უკრაინელ პარტიზანთა რაზმმა გერმანელთა ქვეგანაყოფთან გააფთრებულ ბრძოლაში 50 ჰიტლერელი გაელიტა. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს ქვემეხი და მისი 79 ყუმბარა, 2 დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევი, 2 დაზგის ტყვიამფრქვევი, 19.000 ვაზნა, 2 რადიოსადგური და ბევრი სხვადასხვა სამომარი საჭურველი. რამდენიმე დღის შემდეგ ამ რაზმის პარტიზანებმა რკინიგზის ხიდი აიფეთქეს და რამდენიმე ადგილას მოშალეს კავშირგაბმულობის ხაზი.

* * *

ქალაქ ზიმოვნიკის მეხოვრებლებმა, აგრეთვე წითელი არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა შეადგინეს აქტი გერმანელ ფაშისტ ბანდიტთა მხეცობის შესახებ. აქტში ნათქვამია: „ზიმოვნიკისთვის წარმოებული ბრძოლების დროს მზვერავ წითელარმიელთა მცირე ჯგუფი ქალაქის გარეუბანში შეიჭრა. რამდენიმე წითელარმიელი დაიჭრა და ჰიტლერელებმა ისინი ტყვედ წაიყვანეს. გერმანელებმა დაჭრილი წითელარმიელები როჟკოვას სახლში შერეკეს, დიდხანს აწამეს, ხოლო შემდეგ რკინიგზის ლიანდაგთან მიათრიეს და დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის ერთი სანიტარი ქალიც იყო. ჰიტლერელების მიერ ქალაქ ზიმოვნიკში ჩადენილი ბოროტმოქმედება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ გერმანელი ფაშისტი არამზადები საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და უიარაღო სამედიცინო მუშაკთა ჟლეტასაც კი განაგრძობენ". აქტს ხელს აწერენ ქალაქ ზიმოვნიკის მეცხოვრენი—ი. ბონდარენკო, ი. როჟკოვა, მე-2 რანგის სამხედრო ექიმი ვ. ალექსეევი, მაიორი ნ. პოლტორაკოვი, კაპიტანი ი. ლებედევი, წითელარმიელები — ი. მოისეენკო, ტ. ბოლონი და პ. ივაშენკო.

* * *

გერმანიის საინფორმაციო ბიურომ 13 იანვარს გამოაქვეყნა ცნობა: „კავკასიაში რუსებმა ძალზე წინწამოწეული სატანკო შენაერთის დახმარებით სცადეს იერიში მოეტანათ ქალაქ მინერალნიე ვოდიზე. მესანგრეთა ერთი შენაერთის გადამწყვეტი მოქმედების მეოხებით, რომელიც მცირეოდენი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით შეუპოვრად იგერიებდა მტერს, ჩაშლილ იქნა მოწინააღმდეგის ცდა—თავს დასხმოდა ქალაქს... საბჭოთა ჯარების ნაშთები შორს იქნენ უკუქცეულნი აღმოსავლეთისაკენ". ბერლინელმა ცრუპენტელებმა თავდაპირველად სცადეს საერთოდ არაფერი ეთქვათ ჩრდილოეთ კავკასიაში წოთელი არმიის შეტევაზე. ისინი იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ გერმანიის ჯარები კავკასიაში ზედიზედ წარმატებას აღწევენო. შემდეგ ჰიტლერელებმა განაცხადეს, რომ კავკასიაში სრული სიწყნარეა, რომ გერმანიის არმია აქ მხოლოდ „ასწორებს ფრონტს", და ერთბაშად, სრულიად მოულოდნელად გერმანიის მოსახლეობას თავს დაატყდა ახალი ამბავი, რომ საბჭოთა ჯარებმა იერიში მიიტანეს ქალაქ მინერალნიე ვოდზე! მთელი წარმოუდგენელი სისტემა, რასაც გერმანიის სარდლობა ავრცელებს, ერთხელ კიდევ ნათლად აყოფს, თუ როგორი დაბნეულობა სუფევს ჰიტლერელ მესვეურთა წრეებში.

ყველამ იცის, რომ საბჭოთა ჯარებმა, სანამ მინერალნიე ვოდის მიაღწევდნენ, ბრძოლებით გადაარეს 180-200 კილომეტრი და დაიკავეს მთელი რიგი ქალაქები და დასახლებული პუნქტები. შემდეგ ცნობილია, რომ საბჭოთა ჯარებმა ჯერ კიდევ 11 იანვარს დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი მინერალნიე ვოდი. ყველამ იცის, რომ წითელი არმიის ნაწილებმა გერმანიის ჯარების წინააღმდეგობა სძლიეს და კიდევ რამდენიმე ათეული კილომეტრით წაიწიეს მინერალნიე ვოდის დასავლეთით.

უნებოდ და სულელურად ცრუობს გერმანიის საინფორმაციო ბიურო.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა ჩრდილოეთ საფრანგეთსა და გერმანიაზე

ლონდონი, 14 იანვარი (საკვლევი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ დღისით ინგლისისა და ამერიკის თვითმფრინავებმა და დომინიონებისა და მოკავშირე ქვეყნების ავიაციამ ერთობლივი დიდი ოპერაცია ჩაატარეს ჩრდილოეთ საფრანგეთში. „მფრინავმა სიმაგრეებმა" დიდი სიმაღლიდან დაბომბეს ლილის სამრეწველო საწარმოები, რომლებიც სამხედრო პროდუქციას ამზადებენ გერმანიისათვის. ბევრგან ხანძარი და აფეთქება მოხდა.

ინგლისის „ბოსტონის" ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის აეროდრომზე აბეილში.

ყველა ამ ოპერაციას 400-მდე ავიაგამანადგურებელი იცავდა.

13 იანვარს ღილით ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მტრის კარჩაპებზე, რომლებიც ჰოლანდიის არხებში იდგნენ, და საარტილერიო პოზიციებზე.

„მოსკიტოს" ბომბდამშენები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ საფრანგეთის მთელ რიგ სარკინიგზო ცენტრებს. ყველა რაიონში, რომლებზეც თავდასხმა მოხდა, შემჩნეული იყო ბევრი ძლიერი ხანძარი და აფეთქება.

მტრის ავიაცია ერთობ სუსტ წინააღმდეგობას ეწეოდა.

ლონდონი, 14 იანვარი (საკვლევი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 13 იანვარს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაცია კვლავ თავს დაესხა რურს. 12 წუთის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა 100 ტონა ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბი. თავდასხმის მთავარი ობიექტი იყო ქალაქი ესსენი.

დიდი რუსი ხალხის ღირსეული შვილი

(70 წელი ი. ვ. ბაბუშკინის დაბადებიდან)

ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ აღზარდა შესანიშნავი რევოლუციონერები, რომლებმაც მთელი სიცოცხლე კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას შესწირეს. არიან ადამიანები, რომელთა სახელებს ვერ დაივიწყებს კაცობრიობა. მათი მგზნებარე, ნათელი სახეები მუდამ კეთილშობილურ მიზანს იწვევენ ყველა პატიოსან მშრომელში. ახლა სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო ახლობელი არიან ისინი ჩვენთვის. მათი ნათელი სახები მოგვიწოდებს ფაშისტ ავაზაკებზე შურისძიებისაკენ. ერთი იმათთაგანია დიდი რუსი ხალხის სამაყო შვილი ივანე ვასილის-ძე **ბაბუშკინი,** სახალხო გმირი, როგორც დიდი ლენინი უწოდებდა მას.

ბაბუშკინი იყო დიდი მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე, რომლის სახელი განუყოფელად დაკავშირებულია ლენინ-სტალინის პარტიის ჩასახვასთან. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მან სამშობლოს, თავისი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას შეალია.

ი. ვ. ბაბუშკინი დაიბადა 1873 წელს ვოლოგდის გუბერნიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მშრომელთა ძმიმე ხვედრმა აიძულა იგი დაეტოვებინა სოფელი და 10 წლის ბავშვი პეტერბურგს წავიდა ლუკმა-პურის საშოვნელად. პეტერბურგში — შემდეგში რევოლუციის ამ აკვანში ბაბუშკინმა დიდი ლენინისაგან მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. იქ ჩამოყალიბდა იგი დამოუკიდებელ მებრძოლად, რევოლუციონერად.

1893 წელს ბაბუშკინი სწავლობდა მუშათა საკვირაო სკოლაში, რომელსაც ნ. კ. კრუპსკაია ამეცადინებდა, ხოლო შემდეგ, სხვა მოწინავე მუშებთან ერთად, იმ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მოხვდა, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა ნევის სადარაჯოზე. ბაბუშკინი დიდი ლენინის მეოხებით გაეცნო მარქსის მოძღვრებას, წრის ერთი თვალსაჩინო წევრი გახდა, აქედან დაუკავშირდა ლენინს და საკვდილამდე მოწინაეთა რიგებში იბრძოდა ლენინის საქმისათვის. მუშათა წრეებში ლენინს ლექციების შესახებ ბაბუშკინი სწერდა: „ჩვენ ყველანი მეტად კმაყოფილი ვიყავით ამ ლექციებით და მუდამ აღტაცებაში მოვყავდით ჩვენი ლექტორის გონებას". დამოუკიდებლობა, შრომის უნარიანობა, ცოდნის შეძენა, შრომის უნარიანობა, ცოდნის შეძენა და დიდი სწრაფვა—აი რა ახასიათებდა ბაბუშკინს.

ბაბუშკინი 1895 წელს შეიდა ლენინის მიერ შექმნილ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში", რომელიც რევოლუციურ-მარქსისტული პარტიის დასაბამი გახდა. 1896 წელს ბაბუშკინი დააპატიმრეს და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ყაზანში გადაასახლეს. იქ მან დიდი ორგანიზატორული მუშაობა ჩაატარა რევოლუციურ-მარქსისტული წრეების შესაქმნელად. მოაწყო არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვა. მოსალოდნელი დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად 1897 წელს ბაბუშკინი პეტერბურგში მიემგზავრება და არალეგალურ მდგომარეობაზე გადადის. შემდეგ ლენინის დავალებით რუსეთის მრავალი სამრეწველო ცენტრი შემოიარა.

1901 წელს ორეხოვო-ზუევოში ბაბუშკინი დააპატიმრეს, მაგრამ მან მალე მოაწყო გაქცევა ციხიდან და ლენინთან ჩავიდა ლონდონში. „ამ დროს ბაბუშკინი კიდევ უფრო კაზრდილიყო, როგორც დამოუკიდებელი რევოლუციონერი",—სწერდა ნ. კ. კრუპსკაია. ლენინის დავალებით ბაბუშკინი შეუდგა თავისი მოგონებების წერას.

1903 წელს ბაბუშკინი კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში, სადაც განაგრძობდა მუშაობას, ამზადებდა მასებს თვითშეგნებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისგან მიღებული ბედნიერებისთვის. 1905 წლის ოქტომბერში ბაბუშკინი პეტერბურგში ჩადის და პარტიის დავალებით ჩიტაში გადადის შეიარაღებული აჯანყების სახელმძღვანელოდ. 1906 წლის დასაწყისში ყინდარმერიამ ბაბუშკინი სხვა ამხანაგებთან ერთად დაიპატიმრა. მეფის ჯალათებმა იგი გაუსამართლებლად დახვრიტეს.

დიდი ლენინი გულისტკივილით სწერდა გამოჩენილი მუშა-ბოლშევიკის უდროოდ დაკარგვის შესახებ. გენიალური ბელადი აღნიშნავდა, რომ ბაბუშკინი, ნამდვილი სახალხო გმირი, გმირულად დაეცა ბრძოლაში, მაგრამ მისი საქმე არ მომკვდარა და მას გააკეთებენ მილიონობით სხვა ადამიანები. ლენინი ამბობდა, რომ „ასეთი ადამიანების ვარეშე რუსი ხალხი სამუდამოდ დარჩებოდა მონობასა და უვიცობაში".

ამაოდ არ ჩაუვლია ბაბუშკინისა და სხვა რევოლუციონერთა თავდადებას. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა დაამხო ექსპლოატატორთა ბატონობა და დაიმკვიდრა ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრება. ახლა ფაშიზმი თავისი ბინძური ხელებით ცდილობს წაართვას ჩვენს ხალხს დიადი მონაპოვარი, მაგრამ ამაოდ. სტალინური მეგობრობით შეიდუღებული საბჭოთა კავშირის ხალხები მრისხანე ძალად ევლინებიან ფაშისტ კანიბალებს. ჩვენი ხალხის გმირობა, რომელიც მსოფლიოს ანცვიფრებს, ამ გმირულ ტრადიციებზე დაინერგა, როცა ლენინი და სტალინი ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე აწრთობდნენ მასებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საიერიშოდ. ამ გმირულ ტრადიციებზე აღიზარდა ჩვენი თაობა, რომელსაც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მაგალითის მიმცემად ჰყავს ისეთი გმირი მებრძოლები, რომელთა რიცხვსაც ი. ვ. ბაბუშკინი ეკუთვნოდა.

ლ. სტურუა

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

მოლოგოველთა მოწოდების პასუხად

ამ დღეებში თბილისის ფეხსაცმლის მესამე ფაბრიკაში ჩატარდა მიტინგი, რომელზეც მუშა-მოსამსახურეებმა მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის კოლექტივის მოწოდების პასუხად აღიქვა ვალდებულება სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლით იანვრისა და თებერვლის გეგმა წითელი არმიის XXV წლისთავისათვის 103 პროცენტით შესასრულო, პირველი კვარტალი გეგმა—105 პროცენტით, გაჯარდონ შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება 1 პროცენტით, დაზოგონ ძირითადი და დამხმარე მასალები და სხვ.

ჩვენმა ფაბრიკამ წლიური და დეკემბრის გეგმები ვადაზე ადრე შეასრულა, ვებმებით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში ფეხსაცმლის № 5 სამოდელო ფაბრიკასთან, ეკისრულობთ პირნათლად შევასრულოთ წითელი არმიის XXV წლისთავისათვის აღებული ვალდებულებები, მიმდინარე წელს კიდევ უკეთესად ვიმუშაოთ, ვიდრე 1942 წელს, და ფრონტისათვის გამოვუშვათ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ფაბრიკის სტახანოველები შ. მორდეხაშვილი, ა. ჯანაშვილი, ვ. ჯიგორიანი, დ. ჭელიძე, ს. მარიკიანი იანვრის პირველი ხეებიდანვე თავდადებული შრომის ნიმუშებს იძლევიან—დღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ნ. ალიხანოვი

თბილისის ფეხსაცმლის № 3 ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

გამოვუშვებთ მეგ და მაღალხარისხოვან პროდუქციას

სამტრესტის კონიაკ-არყის ქარხნის კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის დღიდანვე საწარმოო გეგმებს და სპეციალიკეთებს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს. წლიური დავალება (ნატურით) საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა და ქვეყანას, ფრონტს გეგმის გადამეტებით მისცა 480.660 ლიტრი პროდუქცია, დაზოგა 258.756 მანეთის ნედლეული, დამხმარე მასალა და სათბობი.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ახალი ენერგიით გაშალეს მუშაობა. ამ დღეებში საერთო კრებზე ქარხნის დირექტორმა ამხ. ი. ხარაბაძემ გააცნო მათ გასული წლის მუშაობის შედეგები და მოლოტოვის სახელობის № 172 ქარხნის მოწოდება წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შესახებ. კრებაზე სიტყვით გამოსული საამქროს უფროსები და სტახანოველები დიდი მოწონებით შეხვდნენ № 172 ქარხნის კოლექტივის მოწოდებას, რის პასუხადაც მათ ერთი მეორე გამოიწვიეს სოცშეჯიბრებაში და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი.

მთლიანად ქარხნის კოლექტივმა იკისრა კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება. იანვრის გეგმა შესასრულოს 3 დღით ადრე, ხოლო თებერვლისა — წითელი არმიის XXV წლისთავისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 20.000 ლიტრი პროდუქცია, ორ თვეში დაზოგოს ნედლეული არა ნაკლებ 3 პროცენტისა, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 4,5 პროცენტით, გამოუშვას მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ჩან კაი-შიმ და ჩერჩილმა დეპეშით მიმართეს ერთმანეთს

ლონდონი, 13 იანვარი (საკვლევი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჩან კაი-შიმ ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც ჩინეთის მთავრობისა და ხალხის სახელით ღრმა კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ხელმოწერილ იქნა ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულება ჩინეთში ინგლისის ექსტერიტორიულობის უფლების გაუქმების შესახებ. ეს ხელშეკრულება,—ნათქვამია დეპეშაში, — ახალი დადასტურება იქნება იმისა, რომ იზრდება გაერთიანებულ ერთა სოლიდარობა არა მარტო საბრძოლო მიზნებისათვის, არამედ მშვიდობიანობისათვისაც.

ჩერჩილის საპასუხო დეპეშაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ხელშეკრულების ხელმოწერით ახალი ერა იწყება ორივე ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებაში.

ჩან კაი-შის მიმართვა ჩინეთის არმიისა და ჩინელი ხალხისადმი

ჩუნცინი, 14 იანვარი (საკვლევი). ჩან კაი-შიმ მიმართა ჩინეთის არმიასა და ხალხს და განაცხადა, რომ გასული წლის 10 ოქტომბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ნებაყოფლობით გამოაცხადეს, რომ უარს ამბობენ განსაკუთრებულ უფლებებზე, რომლებითაც ისინი დიდხანს სარგებლობდნენ ჩინეთში არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომელთაგან პირველი დადებულ იქნა 100 წლის წინათ. ამა წლის 11 იანვარს ჩინეთის მთავრობამ ახალი ხელშეკრულებები დასდო ამ ორ ქვეყანასთან თანასწორობისა და ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე.

ჩან კაი-შიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მოქმედებით ჩინეთის მოკავშირეებმა ცხადჰყვეს, რომ იმ ომის მიზანი, რომელსაც ისინი ეწევიან, არის სამართლიანობისა და კაცობრიობის უფლებათა დაცვა. „მაგრამ ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ,—სთქვა ჩან კაი-შიმ,—რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჯილდოა, რომელიც უნდა მოვიპოვოთ მხოლოდ ჩვენი საკუთარი ღონისძიებებით. მე არა ერთხელ მითქვამს თქვენთვის, ჩემო თანამემამულენო, რომ დამოუკიდებლობის მიღწევაში ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს. ჩინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მისაღწევად ერი ძლიერი უნდა იყოს". დღემდე, განაგრძო ჩან კაი-შიმ, ჩინელებს სამართლიანად შეეძლოთ ემტკიცებინთ, რომ უცხო სახელმწიფოებთან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებანი აბრკოლებდნენ ჩინეთის სახელმწიფოს მშენებლობას, სთესავდნენ უთანხმოებას ჩინელთა შორის, ხელს უწყობდნენ ეკონომიურ ჩამორჩენილობას. გვინერვავდნენ სისუსტის გრძნობას. ახლა არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა გაუქმებით მათი გავლენა აცილებული, ამჟამად ჩინეთის დამოკიდებულება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანასწორობას ემყარება. დამოუკიდებელი ჩინეთი ამ ორი ერის ნამდვილი მეგობარი გახდა. სხვა ხალხებთან ურთიერთობაში ჩინელები ყოველთვის სამართლიანობის პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ. ჩან კაი-შიმ მოუწოდა ყველა ჩინელს, შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი ომიანობის დროის ძნელ პირობებში და მთელი ძალ-ღონე იხმარონ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად ჩინეთის რესპუბლიკის მამის სუნ იატ-სენის სამი სახალხო პრინციპის საფუძველზე.

ჩუნცინი, 14 იანვარი (საკვლევი). იმასთან დაკავშირებით, რომ ხელმოწერილ იქნა ინგლის-ჩინეთის და ამერიკა-ჩინეთის ხელშეკრულებანი იმის შესახებ, რომ ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი სთქვეს ჩინეთში განსაკუთრებულ უფლებებზე, რომლებიც დამყარებული იყო არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებებით, რომელთაგან პირველი ხელმოწერილ იქნა 1842 წელს, ჩინეთის წრეებში აცხადებენ, რომ იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც ჩინეთთან თავის ურთიერთობას არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა საფუძველზე ამყარებდნენ, მეფის რუსეთიც იყო. მაგრამ ამ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე საბჭოთა მთავრობამ ნებაყოფლობით და თავისი საკუთარი ინიციატივით გამოაცხადა, რომ ხელს იღებს არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებებსა და პრივილეგიებზე ჩინეთში, რაც დადასტურებულიც იქნა 1924 წელს დადებული საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმებით. ეს იყო ჩინეთის მიერ დიდ სახელმწიფოსთან დადებული პირველი, თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომელიც ჩინეთის თანასწორობისა და დამოუკიდებლობის აღიარებას ემყარებოდა.

სატრანსპორტო თვითმფრინავების აწყობა ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში.

სემინარები პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტპროპაგანდისტების ხელმძღვანელთათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ქალაქის ყველა რაიონში ჩამოყალიბებულია აგიტაციის და პროპაგანდის, საკითხებისადმი მიძღვნილი სამდღიანი სემინარები პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის.

სემინარებზე წაკითხული იქნება ლექციები შემდეგ თემებზე: „საგიტაციო მუშაობის ფორმები და მეთოდები სამამულო ომის პირობებში", „აგიტატორებთან და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებთან მუშაობის შესახებ", „მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის ფორმები და მეთოდები სამამულო ომის პირობებში", „სამამულო ომის მიმდინარე მენ მომენტი და აგიტატორების ამოცანები".

უკვე ჩატარდა სემინარის პირველი მეცადინეობანი ლენინის, ბერიას და 26 კომისრის სახელობის რაიონებში. სემინარების მეცადინეობა 19 იანვარს დამთავრდება. (საქდესი).

ფოთის სახელმწიფო თეატრში

ფოთი („კომუნისტის" საკ. კორ.). ლ. პ. ბერიას სახელობის ფოთის თეატრმა (დირექტორი და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. გოძიაშვილი) 1942-43 წლის სეზონში მაყურებელს უჩვენა სამამულო ომის თემაზე დაწერილი პიესები: „რომანტიული შეზვედრა", და „შურისძიება".

ამ დღეებში თეატრმა დასდგა დ. ერისთავის პატრიოტული დრამა „სამშობლო". სპექტაკლში მონაწილეობენ ნ. გოძიაშვილი (სეფონ ლიონიძე), ქ. კოლბადელი (ქეთევანი), ა. მაგრაქველიძე (ლევან ხიმშიაშვილი), თ. ლორთქიფანიძე (შაპ-აბასი), ლ. უგულავა (ფაიხოში), ი. მიქაშვილი (ისრაფილ ბეგი). სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ამჟამად თეატრის კოლექტივი ამზადებს ვ. ბრაგინის და გ. ტოვსტონოგოვის პიესას „ექიმ ვერჩიცკის ცდა".

ვ. ბუჯაბიძე

შემნახველი სალაროების XX წლისთავის გამო

15 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. სარფინსაბჭოს კლუბის დარბაზში (ეცხოველის ქ. № 7) მოწვეულია შემნახველი სალაროების მუშაკების, სახკრედიტისა **და** შემნახველი სალაროების ხელისუფლების კომისიის წევრთა **და** საფინანსო აქტივის **თბილისის** საერთო-საქალაქო **კრება.**

დღის, წესრიგში შემნახველი ხალაროების ოცი წელი და 1942 წლის მუშაობის შედეგები.

კრების შემდეგ შესდგება კონცერტი.

ლექციები და მოხსენებები

18 იანვარს, დილის 10 საათზე, განსახილველ დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში (ჯავახიშვილის ქ. № 1) შესდგება აკადემიკოს **დ. უზნაძის** ლექცია თემაზე: **„განწყობის ფსიქოლოგია".** დასწრება თავისუფალია.

18 იანვარს, საღამოს 7 საათზე, განსახილველ დაწყებითი და საშუალო სკოლის სახ. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში (ჯავახიშვილის ქ. № 1) შესდგება პროფ. **გ. თავზიშვილის** ლექცია თემაზე: **„სახალხო განათლების მდგომარე